ენერგოეფექტური ღუმელის/ქურის ნასყიდობის ხელშეკრულების არსებითი პირობები (ოფერტი)

- ხელშეკრულების დადების ადგილი: დუშეთის მუნიციპალიტეტი. სოფელი - ჩანადირთკარი;
- ხელშეკრულების დადების თარიღი: ------ 202–წ
- შპს „ესკო ეს". ს/კ 200270973 - შემდგომში კომპანია;
- პროდუქტის დასახელება/ ფუნქციური დანიშნულების მითითებით:

შეშაზე მომუშავე ქურა - „ეკონომი";

- **მოდელი:** ეკონომ A-5
- **საწვავის ნედლეულის ტიპი:** შეშა,ბრიკეტი
- ეფექტურობა,სიმძლავრე : 70,7%, 7,5 კვტ
- გადახდის წესი: ღირებულების 100% ინვოისის მიღბიდან 2 დღის ვადაში;
- ღირებულების გადახდა თანადაფინანსებით: სოფლის განვითარების სააგენტოს სპეციალური პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია სააგენტოსაგან ენერგოეფექტური ღუმელის/ქურის შეძენის მიზნით მისი ღირებულების 30%-იანი თანადაფინასების მიღება. პროგრამა ითვალისწინებს სააგენტოს მიერ საქართველოს მოქალაქე იმ სრულწლოვანი ფიზიკური პირის თანადაფინანსებას, რომელიც არის ერთი შინამეურნეობის წარმომადგენელი (ერთი ქურა/ღუმელი ერთ შინამეურნეობაზე პრინციპით).

  თანადაფინანსების მიზნით სააგენტოსათვის მიმართვის საფუძველია კომპანიის მიერ გამოწერილი და პოტენციურ შემძენზე გადაცემული „ინვოისი". ინვოისი კომპანიის მიერ გაიცემა მხოლოდ ღირებულების 100%-ის კომპანიისათვის გადახდის (ნაღდი/უნაღდო) შემთხვევაში. აღნიშნული თანხის 30% წარმოადგენს კომპანიის სასარგებლოდ დეპოზიტზე განთავსებულ თანხას, რომელიც მყიდველს დაუბრუნდება თანადაფინანსების საფუძველზე იმავე თანხის კომპანიის ანგარიშზე ჩარიცხვიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში.
  ინვოისში აღინიშნება პოტენციური მყიდველის მიერ სრული ღირებულების 100%-ის გადახდის ფაქტი. თანადაფინასების გაცემაზე სააგენტოს უარის შემთხვევაში კომპანიისათვის გადახდილი თანხა სრულად ჩაითვლება ნასყიდობის ღირებულებაში.
- ვალუტა: ნაციონალური ვალუტა/ ლარი;
- **სრული ღირებულება:** 999 ;
- შეძენილი ნივთის მონტაჟი უნდა განახორციელოს შემძენმა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე თანდართული „ინსტრუქცია გამოყენებისათვის" მოთხოვნების შესაბამისად.
- გარანტიის ვადა: ნივთის გადაცემიდან 2 წელი

საგარანტიო პირობები:

წინამდებარე საგარანტიო პირობები წარმოადგენს ენერგოეფექტური ღუმელის/ქურის ნასყიდობის ხელშეკრულების არსებითი პირობების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

საგარანტიო მომსახურება გულისხმობს ნივთის შეკეთებას მასზე მოქმედი გარანტიის პერიოდში.
საგარანტიო პერიოდი იანგარიშება შეძენილი ნივთის გადაცემის დღიდან.
გარანტია ვრცელდება ღუმელის იმ დაზიანებაზე,რომელიც განპირობებულია ტექნიკური წუნით.
საგარანტიო სერვისის მისაღებად სერვის ცენტრში წარმოდგენილ უნდა იქნეს საგარანტიო ტალონი.
საგარანტიო ტალონი მომხმარებელმა უნდა წარმოადგინოს სრულად და მექანიკური დაზიანების გარეშე.
საგარანტიო ტალონი უნდა მოიცავდეს: ნივთის დასახელებას, მყიდველის ვინაობას, შეძენის თარიღს, პასუხისმგებელი თანამშრომლის სახელს და ხელმოწერას. წინააღმდეგ შემთხვევაში საგარანტიო მომსახურეობა არ განხორციელდება.
საგარანტიო მომსახურეობა არ ითვალისწინებს პროდუქტის ახლით შეცვლას!

საგარანტიო მომსახურება არ განხორციელდება, თუ:
გასულია პროდუქტის საგარანტიო ვადა.
არ არის წარმოდგენილი საგარანტიო ტალონი ან/და არსებობის შემთხვევაში საგარანტიო ტალონში მონაცემები წაშლილია ან გადაკეთებულია.
შეძენილ პროდუქტს აღენიშნება ვიზუალური ან მექანიკური ზემოქმედების შედეგად დაზიანება (თუ დაზიანება ფიზიკურად არის გამოწვეული, მაგ: გატეხილი, გაბზარული, გაკაწრული, ჩაჭყლეტილი).
მოწყობილობა გამოიყენებოდა მისი დანიშნულების შეუსაბამო მიზნებისთვის.
დარღვეულია მწარმოებლის მიერ მოწყობილობაზე თანდართული შენახვისა და მოხმარების წესი.
იმ შემთვევაში თუ მომხმარებელმა არ დაიცვა პროდუქტის ექსპლუატაციის წესები ცეცხლგამძლე საღებავზე ვრცელდება მხოლოდ საღებავის მწარმოებლის გარანტია.

დამატებითი ინფორმაცია:
დაზიანებული ტექნიკის სერვის ცენტრამდე ტრანსპორტირებას საკუთარი ძალებით ახორციელებს მყიდველი.

მისამართი: ბაზალეთის ტბა (1800), დუშეთის მუნიციპალიტეტი, საქართველო
Address: Bazaleti Lake, Dusheti Municipality 1800, Georgia

ტელ/Tel.: +995 595 54 50 56 E-mail: ecotourbazaleti@gmail.com; web: www.escos.ge

საგარანტიო პირობების შესაბამისად სერვის ცენტრი ვალდებულია შეაკეთოს დაზიანებული ტექნიკა, მისი მიღების მომენტიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

სერვის ცენტრის მისამართია: საქაღთველო დუშეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ბაზალეთი „ ენერგოეფექტიანი ღუმლების საწარმო“

შეძენილი ქურის/ღუმელის მყიდველისათვის გადაცემის (მონტაჟის ადგილზე მიწოდება/მონტაჟი) განხორციელდება სრული ღირებულების გადახდიდან 3 დღის ვადაში;

წინამდებარე ადგილის/ღილაკის მონიშვნით ადასტურებთ (აქცეპტი), რომ გაეცანით და ეთანხმებით ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებს, რაც წარმოადგენს კომპანიის/გაყიდვების ოფისში ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების/გაფორმების საფუძველს (მატერიალური ფორმით).